ახალი საქართველო

PARIS, 25 Juillet 1925
N 8

Journal Géorgien " LA GÉORGIE NOUVELLE „ — Directeur-Éditeur : G. Veshapely.
ქართველიური ორგანო გრიგოლ ვეშაპელის რედაქციით.

პარიზი
25 ივლისი 1925 წელი

Adresse : Boîte Postale N° 7, PARIS-XII | Annonces : 10 frs la ligne | Abonnement : 20 frs pour 6 mois (Pour l'Étranger .... 100 francs) | Prix du Numéro : Étranger : 5 frs, France : 1 fr.

გაზეთ «ახალი საქართველოს» ცალკე ნომრის მიღება გასაცნობად შეიძლება უფასოდ. საკმარისია მისამართის მეტყობინება·

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრედ-უნიონების ანგარიშის შესახებ

პარიზი. 25 ივლისი.

ინგლისის ტრედ-უნიონების დელეგაციის მოხსენებამ საბჭოთა საქართველოს შესახებ, დიდი აღელვება გამოიწვია მენშევიკების მეგობარ ევროპის წრეებში. მეორე ინტერნაციონალის მდივანმა ფ. ადლერმა საგანგებო წიგნაკიც კი დაბეჭდა პერსელის მოხსენების საპასუხოდ. თვით ნ. ჟორდანია იმით დაკმაყოფილდა, რომ «წერილი რედაქციის მიმართ» გაუგზავნა «დეილი ჰერალდს». მაგრამ ადლერი და ჟორდანია შეეკამათენ მხოლოდ მოხსენების წვრილმანებს, ცალკე ამბების სადაო კომენტარიებს. არც ერთი არ შეეხო დელეგაციის პოლიტიკურ დასკვნებს. ეს ის ადგილია მოხსენების, რომელსაც სათაურათ ჰქვია **Delegation's Recommendations.**

«როცა დელეგაცია მოსკოვს დაბრუნდა, ამბობს მოხსენება, მან აცნობა საბჭოთა ფედერატიულ მთავრობას თავისი შეხედულება შესახებ საქართველოს მდგომარეობისა. დელეგაციამ აღნიშნა, რომ საბჭოთა პრესტიჟი დიდათ გაიზრდება, თუ «ჩეკა» ეხლა გაუქმებული იქნება საქართველოში, ისე როგორც სხვაგანაა, (რუსეთში), ხოლო წითელი არმია (რუსეთის) გაყვანილი იქნება ბაქოსკენ და საქართველო მიენდობა ადგილობრივ (ტერიტორიალურ) მილიციას, ისე როგორც სხვა საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკები. ეს აზრი, ამბობს მოხსენება, სავსებით გაზიარებულ იქნა და გვიპასუხეს, რომ ეს არის მხოლოდ დროს საკითხი.—ცარიზმის დროს კავკასიას ყავდა დიდი გარნიზონი, ეხლა ფაქტიურად იგი დაცულია ადგილობრივი მილიციით, მაგრამ სანამ კავკასია რჩება უცხოეთის ინტრიგათა საგნათ და სანამ იგი კვლავ შეიძლება გახდეს ინტერვენციის ასპარეზად,-ზავის დაცვა მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილეს.

რაც შეეხება «ჩეკას»—აღნიშნულ იქნა, რომ ეს არ არის მარტო საქართველოს შინაური მდგომარეობის საკითხი, არამედ ისიც საერთაშორისო ვითარების საკითხიაო.

დელეგაციის შთაბეჭდილება ისეთია, დაასკვნის მოხსენება, რომ ამ ორი ზომის მიღება დამოკიდებულია «უმთავრესად საერთაშორისო სიტუაციაზეო».

ინგლისელ ტრედ-უნიონისტების დელეგაციის აზრი ისეთ დიდ საკითხზე, რომელიც შეადგენს გარეშე და შინაური ემიგრაციის საბრძოლველ იარაღს, მით უფრო საგულისხმოა, რომ იგი სავსებით ეთანხმება მას, რაც სთქვა ამ საგანზე სერგო ორჯონიკიძემ (შარშან ოკტომბერში).

— «გაიძახიან: გაიყვანეთ რუსის ჯარიო.

თქვე მამაცხონებულებო, გაიძახით გაიყვანეთ რუსის ჯარიო და იმავე დროს «გვაზარებთ» ინგლის-საფრანგეთის ჯარი მოგვყავსო.

დაგვანებეთ, ბატონებო, თავი და ჩვენ რუსსაც და ქართველსაც წითელ არმიიდან ორივეს შინ გაუშვებთ.

დაგვანებოს ინგლისმა და სხვებმა თავი და ჩვენ მუდმივი ჯარიდან ტერიტორიალურ (მილიციონურ) სისტემაზე გადავალთ. მაშინ ტამბოველი ტამბოვში დარჩება და ქუთათური ქუთაისში.»

ჩვენ მოუწოდებთ ემიგრაციის გონიერ ნაწილს ჩაუფიქრდეს ამ სიტყვებს და აგრეთვე იმ კითხვას, თუ რა მიზანს აღწევს მენშევიკ—ფაშისტების ინტრიგები, როცა ისინიც საბჭოთა საქართველოს ახალი ინტერვენციით ემუქრებიან. მათ ალბათ არ უნდათ, რომ პარიტეტული კომიტეტის პროცესით დასრულდეს სამოქალაქო ომის ხანა საქართველოში. მათ უნდათ ახალი უბედურებანი დაატეხონ თავზე ქართველ ხალხს.

ჩვენ კი გვინდა, რომ საბჭოთა საქართველომ შურისუძიებლად მოახდინოს ანტიბოლშევიკური პარტიების ისტორიული შეცდომების ლიკვიდაცია, ამნისტიის წესით შეარიგოს საბჭოთა ხელისუფლებას მისი ყოფილი მოწინააღმდეგენი და მით განამტკიცოს შესაძლებლობა პატიოსანი თანამშრომლობისა მმართველი პარტიის და პოლიტიკის გარეშე მოქცეულ უპარტიო მასისა.

გრიგოლ ვეშაპელი

პოლიტიკურ ემიგრანტ მუშათა დეკლარაცია

მრავალ წლების განმავლობაში სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომლის წევრები დღემდის ვიყავით ჩვენ, იდგა სწორს და შეურყეველ გზაზედ. ყოველი მისი ნაბიჯი მოქმედება თუ ღვაწლი, იყო მიმართული, მშრომელი ხალხის—პროლეტარიატის საკეთილდღეოდ. მან თავისი ხანგრძლივი რევოლიუციონური მუშაობით შემოიკრიბა გარშემო შედარებით სხვა პოლიტიკურ პარტიებისა, დიდი უმრავლესობა როგორც მუშების, ისე გლეხებისა. დასაწყისში სოციალ-დემოკრატიული პარტია მოქმედებდა საერთო მტრების წინააღმდეგ, თავისი წიაღიდან გამონაყოფ ბოლშევიკური პარტიის, ესერების, სოციალ-ფედერალისტებისა და სხვა სოციალისტურ მიმდინარეობის პარტიებთან შეთანხმებით, რის ნაყოფადაც ჩვენ მოგვაჩნია **1917** წლის. რუსეთის დიდი რევოლიუცია. საერთო ძალამ დაამხო თვითპყრობელობის ტახტი, დაამსხვრია მისი მმართველობის ყოველგვარი ატრიბუტები. პროლეტარიატი—მშრომელ მასა დაუპირდაპირდა თავის კლასიურ მტრებს, შეირყა შედრკა საერთოდ ბურჟუაზია, შიშმა მოიცო დიდი მემამულე და მსხვილი ჩინოვნიკობა, სასულიერო წოდება თუ ვაჭარ-სპეკულიანტები და სხვანი მუშათა კლასის მტერნი როგორც სხვა, ისე რუსეთის დიდი რევოლიუციაც ვერ ასცდა კონტრ-რევოლიუციის საშიშროებას, მის წინააღმდეგ დაირაზმა მოპირდაპირენი და გაჩაღდა სამოქალაქო ომი, რამაც რევოლიუცია განსაცდელში ჩააყენა. კითხვა ისმებოდა: «როგორ დაგვეხსნა თავი შექმნილ მდგომარეობიდან», და ვის უნდა გამოეჩინა პირველობა? მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია, შეადგენდა მასიურ პარტიას, თავისი ძველი წარსულით გამოხატავდა დიდი უმრავლესობის სურვილის, ამ საბედისწერო მომენტში ვერ აღმოჩნდა თავის სიმაღლეზე; ვერ გამოიჩინა გამჭრიახობა, რევოლიუციონურ პარტიებთან კავშირის დაჭერაში, ის შერჩა შემთხვევით ჯგუფების და მერყევ პარტიების კოალიციას, რამაც პარტიის რევოლიუციონური სული, არამც თუ გააღვიძა-გააძლიერა, არამედ უფრო შეასუსტა და გაანელა. მტერი რასაკვირველია ამით დიდათ სარგებლობდა და რევოლიუციის საფრთხე დღითი-დღე ახლოვდებოდა. აღიმართა აჩრდილი რეაქციისა, დადგა დღე ყოფნა არ ყოფნისა და რევოლიუციის საბოლოოდ დამარცხებისა. და აი სწორეთ მაშინ რუსეთში ბოლშევიკური პარტია იღებს ხელში ბრძოლის ინიციატივას, მუშების და ჯარის დახმარებით, ახდენს რევოლიუციაში—რევოლიუციას და ამყარებს საბჭოთა ხელისუფლებას, ეს აქტი კი თავის თავად სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აშორებს მასას და უკარგავს ყოველივე ნდობას მასაში.

საქართველოში კი ამ დროს იყო სულ სხვა მდგომარეობა და სხვა პირობები. მიუხედავათ რუსეთში მომხდარ ცვლილებებისა, აქ საქართველოში მაინც სოციალ-დემოკრატიას შერჩა ძველი გავლენა და ძლიერება. ის უდგება სათავეში დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკას და განაგებს მას.

დარბეულ ოჯახიდან გამოყოფილმა პარტიამ ვერ გაითვალისწინა მთავარი მიზეზები რუსეთში მომხდარ ცვლილებებისა, მან ვერ გამონახა საერთო ენა რუსეთის ხელისუფლებასთან და ასე გაყვა შეუთანხმებლობის, შეურიგებლობის გზას. და ასე ამ ორ მიმდინარეობის მეტოქობაში, სოციალ-დემოკრატიული პარტია დამარცხდა.

ეხლა ისმება კითხვა' თუ რა იყო მიზეზები დამარცხებისა.

1) აიღო თუ არა პარტიამ ჰეგემონია სახელმწიფოს მმართვა-გამგეობისა, მთავარი თავისი ძალა მოანდომა, საერთო სახელმწიფოებრივ მუშაობას, მან შთანთქა მთელი მისი ენერგია, რამაც სოციალური—კლასიური საქმიანობა დაჩრდილა, მისდამი ყურადღების მიქცევა საგრძნობლად შეასუსტა. და ამ მხრივ წარმოებულ მუშაობის ცდის ნაყოფიც ძლიერ უმნიშვნელო შეიქნა. რაც დღითი-დღე უკმაყოფილებას ზრდიდა დემოკრატიის—მშრომელი მასის თვალში.

2) თავიდანვე თანდაყოლილმა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის ხელის-უფლების ერთ და იმავე პირთა, და ერთ და იმავე ორგანოში შეთავსებამ, ფაქტიურად გააუქმა ურთი-ერთ შორის ყოველივე კონტროლი. ჰეგემონია პარტიისა დაჩრდილა ხელის-უფლების ძალამ, შეთავსებამ შესცვალა და რამოდენიმედაც გარდაქმნა ლიდერთა ფსიხოლოგიაც. დაიწყო პარტიაში ზევიდან კარნახი, კრიტიკა—თავისუფალ აზროვნებას დაეხშო კარები, და თუ რამ ითქვა, მიჩნეულ იქმნა მისთვის კენჭელი, ბანზე აგდებით, ან და დარჩა ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. პარტიის ხელმძღვანელ ლიდერებში (ზოგიერთა გამოკლებით) დაიწყო თვითნებობა, უკანასკნელად გამეფებულმა დიკტატორობამ, ძირ-ბუდიანათ შეარყია პარტია და დააყენა ის, დაშლის—დაქუცმაცების გზაზედ. ეს უკანასკნელი მოვლენა სრულიად ბუნებრივია. დემოკრატიზმი და დიკტატურა ურთი-ერთ შორის ვერ მოთავსდებიან, ან ერთი, ან მეორე. პირველი—დემოკრატიზმისათვის საშუალება მოსპობილია, მეორე—დიკტატურა, პრინციპიალურად მიუღებელია პარტიისათვის. პარტია ჩიხშია მოქცეული. პარტიის ხელმძღვანელნი ძლიერ კარგად გრძნობენ, მაგრამ აქედან გამოსავალზე ჯერ არ ფიქრობენ. ისინი ხმარობენ უკანასკნელ ფუქსავატურ საშუალებას, საშუალებას ილიუზიებზედ აშენებულს, უჩინარ-უხილავ არსებას ხორც ასხამენ და სპილოს ტანათ ასაღებენ. განა ასეთი საქციელი პარტიის და ერის წინაშე დანაშაული არ არის?

3) დავუშვათ, რომ პარტია მოქმედებს, მუშაობს მისი ძირითადი დემოკრატიული პრინციპებით, ვის ძალას ეყრდნობა ის დღეს და ვისთანა აქვს კავშირი? დემოკრატიზმი ეს არის ფორმა—სისტემა მმართველობისა, სადაც ბურჟუაზიაც ეწევა თანამშრომლობას: იდგა მომენტი როცა მასზე დაყრდნობა და თანამშრომლობა, საჭირო და აუცილებელი იყო, როდესაც მუშათა კლასი ბურჟუაზიასთან ერთად ებრძოდა მონარხიას. ამ პერიოდის განვლასთან ერთად ეკარგება ფასი თვით დემოკრატიზს, მასზე შეჩერება კი ნიშნავს ბურჟუაზიასთან კავშირის გაგრძელებას თუ მივიღებთ ჩვენ მხედველობაში დღევანდელ საქართველოს მდგომარეობას, იქ დღეს არავითარი ბურჟუაზიული კლასი არ არსებობს, ამაზედ ლაპარაკიც ზედმეტია-უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ ევროპაში ჩვენი პარტიის მუშაობა და კავშირი. რაც შეეხება აქ, ამაზედ მოგახსენებთ საზღვარ-გარეთულ საქართველოს ს. დ. პარტიის დიდი ხანია, რაც ფაქტიურად დემოკრატიზმი უარყოფილი აქვს. მისი კონსპირატიული მუშაობის შესახებ ვერაფერს ვიტყვით, ეს ცენტრალურ ბიუროს კოალიციის საიდუმლო განწყობილების საქმეა. მოაქვს თუ არა რაიმე სარგებლობა რეალური ჩვენი სამშობლოსათვის ევროპის ბურჟუაზიის ცქერას. ჩვენთვის ნათელია თუ როგორ უვლის და ეპყრობა ის თავისივე ქვეყანაში, მისი მოპირდაპირე კლასს და როგორ იცავს სხვა ეროვნებათა ინტერესებს, ან და მოსალოდნელია თუ არა, რაიმე რეალური თუნდ მორალური დახმარება ევროპის მუშათა კლასისგან, ჩვენი ილიუზიების განხორციელებაში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ცარიელ ქაღალდზედ ნებით—თუ უნებლიეთ აღნიშნულ თანაგრძნობის რეზოლიუციებს, ამ კითხვაზედ ჩვენ შეგვიძლია გადაჭრით ვსთქვათ: „არავითარი სარგებლობა, პირიქით მოაქვს ზიანი."

ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ სხვა მრავალ მიზეზთა შორის, ჩვენც ვართ ერთი ფაქტორთაგანი ქართველი ერის წინაშე ჩადენილ დანაშაულებაში. ჩვენი უსუსური ორგანიზაციების და მმართველობის უნიადაგო ფაცა-ფუცით, აგრეთვე ემიგრაციის უაზრო და გზა დაბნეულ ყრალით, შეცდომაში შეგვყავს ჯერ კიდევ ბურუსში მყოფი, გამოურკვეველი ნაწილი ქართველი ხალხისა. რითაც ხელს ვუშლით მშვიდობიანობისა და ერის აღორძინების საქმეს; ჩვენი პარტია და წინამძღოლნი ამ გზას კიდევ განაგრძობენ, იმ გზას კი რომელიც მთელი საუკუნის განმავლობაში საქართველოს დემოკრატიას და მშრომელ ხალხს აერთებდა რუსეთის დემოკრატიასა და მშრომელ ხალხთან, კარებს უხშობენ.

განსაკუთრებით დღეს, როდესაც ამ ორი სახელმწიფოს ინტერესები, როგორც ეკონომიური ისე პოლიტიკური ასე მძლავრათაა გადაჯაჭვული ურთი-ერთ შორის, რომ ერთის წაბორძიკება მეორეს ლახვარს ჩაცემს ზურგში. ამისათვის ორივეს ინტერესი მოითხოვს დაიცვა ურთი-ერთ შორის კავშირი, რომელშიაც საქართველო, როგორც სწორი სწორთან, განამტკიცებს რევოლიუციით მოპოვებულ თავისუფლებას, განამტკიცებს სუვერენობას და მიიყვანს ერის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას უმაღლეს წერტილამდე. ეს მდგომარეობა უკარნახებს ყველა ქართველ ემიგრანტს, შეურიგდეს არსებულ რეალურ მდგომარეობას, და დადგეს საბჭოთა პლატფორმაზე, საქართველოში დაბრუნებით, არსებულ ხელის-უფლებასთან ერთად, იმოქმედოს ერის ნაციონალურ-კულტურულ, ეკონომიურ აღორძიებაში. აი აქეთკენ მოუწოდებთ ჩვენ მუშებს და ხელმძღვანელ ინტელიგენციას; დღეს როდესაც მსოფლიო პროლეტარიატის მტრები ირაზმებიან ერთი ფრონტის შესაქმნელად, ყველა შეგნებული რევოლიუციონერები მუშის და მისი ხელმძღვანელების ვალია დაივიწყონ საკუთარი მე, დადგენ მუშათა კლასიურ შერიგების, შეთანხმების, სოლიდარობის გზაზედ. ჩადგნენ პროლეტარიატის რიგებში, რევოლიუციით მონაპოვართა დასაცავად.

ამ მოკლე განცხადებით ვიგონებთ რა ჩვენს წარსულს ვითვალისწინებთ რა მომავალს, ჩვენ გავდივართ პარტიიდან, ვდგებით რა ყოველივე პოლიტიკის გარეშე, სურვილს ვაცხადებთ დაუბრუნდეთ ჩვენ სამშობლოს, და გავიზიაროთ ქართველი ხალხის როგორც ჭირი, ისე ლხინი.

ხელს ვაწერთ: 1) **ნესტორ ზ. სულუხია**
2) **თედო ლევანისძე დემეტრაშვილი**
3) **გიორგი მ. სულაქველიძე**
4) **სილოვან ერასტისძე კალანდაძე**
5) **მაქსიმე ვეკუა**
6) **გიორგი კრიჭაშვილი**

“12„ ივლისი 1925 წელი. პარიზი

პარიტეტულ კომიტეტის

პროცესი

16 ივლისს თბილისის უზენაეს სასამართლოში დაიწყო პარიტეტული კომიტეტის და აჯანყების მონაწილეთა საქმის გარჩევა. სასამართალში არიან მიცემული:

მენშევიკები: გ. ანდრონიკაშვილი, დ. ონიაშვილი, გ. ჯინორია, გ. ცინცაბაძე, ნ. ქარცივაძე, გ. ბელტაძე, ნ. კაზიანი, ვ. ბილანიშვილი, ი. ფანოზიშვილი, გ. ანჯაფარიძე, ვ. მამალაძე ფ. შენგელია, ა. კალანდარიშვილი, შ. იოსელიანი, ნ. ლამხია, ე. ლატარია, ა. ძაძაზია, ა. ფიჩხაია, ა. ფანცულაია, პ. ხურთიძე, ლ. ესფანჯია.

ნაციონალ-დემოკრატები: ი. ჯავახიშვილი, შ. იმნელი, ს. ხოფერია, შ. კალანდარიშვილი, ბ. პირველი, შ. თვალაძე, ვ. ნაცვლიშვილი, ი. ავალიშვილი, ვ. ბერიძე.

სხივლები: გ. გიორგაძე, რ. იმნაიშვილი კ. ნინიძე.

სოციალ-ფედერალისტები: გ. რცხილაძე, ს. დადიანი, ა. ბოკერია, ა. ჩხაიძე გ. გოგლიშვილი ი. გაბლიანი, კ. ლორთქიფანიძე, ა. კვირიკაძე.

ესერები: მ. ბოჭორიშვილი, ივ. ლორთქიფანიძე, მ. ჭანიშვილი, ა. ბაზაძე ვ. გეგეჭკორი ნ. ნაკაშიძე.

სასამართლოს შემადგენლობა შემდეგია: გ. ვაშაძე, ვ. ცინცაძე და ვ. სტურუა.

ბრალს სდებენ: სერგო ქავთარაძე და გ. ოკუჯავა.

დამცველები: მ. მესხიშვილი, მ. ტატიშვილი, ვ. ჯაფარიძე, ი. მაჭავარიანი, გელაზაროვი, შ. ღვამიჩავა, ანდრო ტატიშვილი. გუბელაძე, შალიბაშვილი, ნასიძე, დადიანი, რიყამაძე, ნ. ქიქოძე, პოლუმორდვინოვი და ზედგენიძე.

მოწმეთ გამოწვეულია **57** პირი.

ბერლინის სტუდენტთა დეკლარაცია

საქართველომ გამოსცადა ორგვარი პოლიტიკური ხაზი; ერთი, რომელიც ფიქრობდა იმპერიალისტურ ქვეყნებთან მეგობრობას:—მეორე რომელმაც არჩია საბჭოთა ფედერაციასთან კავშირი, მას შემდეგ, რაც ასეთი ცვლილება მოხდა, მრავალნი ფიქრობდა, რომ საქართველომ თავისი ეროვნული ბედი წააგო. აქედან დაიწყო ბრძოლა საქართველოს ძველი ფორმების [illegible] ათვის. მაგრამ გასული წლების ისტორია, განსაკუთრებით კი ომის გათავების შემდეგ, ნათლად ამტკიცებს იმ გარდაუვალ დებულებას, რომ თანამედროვე ისტორიულ პერიოდში ჩვენი ქვეყნის მიერ იმპერიალისტურ ქვეყნებისაკენ ხელის გაწევა მავნე და დამღუპველია. ის გარემოება, რომ საქართველო აზერბეიჯანის ნავთის საერთაშორისო ბაზარზე გასავალ გზას წარმოადგენს, შინაური ბუნებრივი სიმდიდრენი და აგრეთვე ადგილ მდებარეობა სამხედრო მოსაზრებათა მხრივ,—კაპიტალისტურ მეურნეობაში საქართველოს გახდის ყოველთვის ძლიერ სახელმწიფოთა ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესთა ჭიდილის მოედნათ, რაც ქვეყანას გარდააქცევს მუდმივ შეჯიბრებათა მსხვერპლად. ამას დაემატება ის გარემოებანიც, რომ ამიერ-კავკასიის ერთა სხვა და სხვა მისწრაფებანი შექმნის შუღლს ურთიერთ შორის, რაც გარეშე ძალის მიერ თავის ზრახვათა განსახორციელებლად იქნება გამოყენებული, ხოლო თვით ერებს მოუტანს მძიმე ჭრილობებს

ამ მიზეზების გამო საბჭოთა ფედერაციის გარეშე საქართველოს მოელის დიდი საფრთხე. არსებული ეკონომიური და პოლიტიკური სინამდვილე საქართველოს უკარნახებს საბჭოთა ფედერაციასთან კავშირს.

საქართველოს ყოფილი მთავრობა ფიქრობდა დასავლეთ სახელმწიფოთა დახმარებით მოეხდინა ინტერვენცია საქართველოში. მაგრამ ოთხი წლის გამოცდილებამ საკმაო მაგალითი გვიჩვენა იმის, თუ რამდენად იწუხებენ თავს დასავლეთის სახელმწიფოები საქართველოსათვის. დროა ეს იმედები დატოვებულ იქნეს მაშინ მაინც, როდესაც ევროპის ყველა ქვეყნები საბჭოთა უნიონთან კეთილ განწყობილებას ეძებენ. თუგინ დაუშვათ, მოისურვა რომელიმე მათგანმა საქართველოს საქმეებში ჩარევა, მაინც საეჭვოა, რამდენად შესძლებს ის ამ ამოცანის სისრულეში მოყვანას, თუ არ დავივიწყებთ, რომ საბჭოთა უნიონს საკმაო რეალური ძალა გააჩნია: ამასთანავე ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ საქართველოსადმი პლატონიური სიყვარული არ აიძულებს იმპერიალისტურ სახელმწიფოს "მეგობრული დახმარება აღმოუჩინოს„: დასავლეთის იმპერიალიზმი გაანთავისუფლებს საქართველოს ისე, როგორც ეგვიპტეს, და სხვა კოლონიებს ანთავისუფლებენ იგინი. იმპერიალისტურ სახელმწიფოს აინტერესებს არა საქართველოს დამოუკიდებლობა არამედ საქართველოს მარგანეცი, სპილენძი, ტყე, გზა ბაქოს ნავთისაკენ და აღმოსავლეთის სიმდიდრისაკენ დასამხედრო ბაზის ორგანიზაცია. ბურჟუაზიული ევროპის თეორია და პრაქტიკა აშენებულია დაყოფის და ბატონობის პრინციპზე, ის ყოველთვის ცდილობდა პირდაპირ და არაპირდაპირ სხვა მის ინტერესთა რკალში მოქცეულ ქვეყნების შინაურ ცხოვრებაში ხელის ფათურს. ამაში ჩვენ ეხლა ხუყველა სამუდამოთ დავრწმუნდით.

1 ამიტომ აღნიშნული გზა იმპერიალისტურ ქვეყნებზე ორიენტაციის და ინტერვენციის ჩვენ მიგვაჩნია საქართველოს ინტერესების გამანადგურებლად და მძიმე შეცდომად ქართველი ერის კეთილდღეობის წინაშე. ჩვენ ვაღიარებთ, რომ საქართველოს ეროვნული ეკონომიური და კულტურული ინტერესები მოითხოვენ არა დასავლეთის იმპერიალისტურ ქვეყნებთან მეგობრობას, არამედ საბჭოთა ფედერაციასთან, სადაც მას აქვს მაქსიმუმი შესაძლებლობა თავისი ეროვნული ინტერესები დაიცვას და ეროვნული ძალები გაშალოს.

მეორე ხაზი საქართველოს ძველი მთავრობისა და მათ მომხრე ქართველ საზოგადოებრივ ძალთა ერთი ნაწილისა იყო აჯანყება-შეთქმულების მოწყობის საშუალებით არსებულ ძალაუფლების დამხობის გზა. წარსულმა გამოცდილებამ ჩვენ აშკარად გვიჩვენა, თუ რამდენი მავნე ნაყოფი მოუტანა ასეთმა პოლიტიკამ საქართველოს. თუ წარსული წლის აგვისტოში მომხდარ გამოსვლებს განვმარტავთ, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ეს გზა არის შეცდომა, დამღუპველი ავანტიურა და მძიმე დანაშაული საქართველოს ეროვნულ ინტერესების წინაშე, რომელიც საქართველოს პირდაპირ ფიზიკურ განადგურებას უქადის. ამ აჯანყების ხელმძღვანელობას არ შეეძლო არ სცოდნოდა ის, თუ რა ტკივილები შეეძლო მას მიეტანა ქართველი ერისათვის. საქართველოს განთავისუფლების ლოზუნგის ქვეშ ამ გზას მოაქვს საქართველოს დასამარება

2. ამისათვის ჩვენ ვაღიარებთ მშრომელი ხალხის საყურადღებოდ, რომ აჯანყება—შეთქმულების პოლიტიკა საერთოდ და ყოველი ახალი აჯანყება საქართველოს საბჭოების წინააღმდეგ იყო და არის მიუტევებელი ავანტიურა და დანაშაული ქართველი ერის წინაშე.

და რადგანაც აჯანყება—ინტერვენციის პოლიტიკის ერთი მთავარი მატარებელთაგანი ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში არის სოც.-დემ. პარტია, რომელიც ევროპაში გახიზნულ ყოფილ მთავრობის ხელმძღვანელობით და მათი კარნახის ქვეშ იმყოფება, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ვსცილდებით მათ გზას და პოზიციებს, და ვტოვებთ ამ პარტიას.

საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში მიმდინარე პირობებში წარმოადგენს იმ ძალას, რომელიც ერთგულად ემსახურება ქართველი ხალხის ინტერესებს. საბჭოთა კავშირის ძირითადი პოლიტიკური კანონდებულება ფორმალურად ამის გარანტიას იძლევა, ხოლო პრაქტიკულად ის ძალასა და ღონის მიხედვით ესწრაფვის ეკონომიურ და კულტურულ აღმშენებლობისაკენ. საბჭოთა ხელისუფლებას არა ერთხელ განუცხადებია, რომ ის მიისწრაფის პოლიტიკურ-ეკონომიურად და კულტურულად ძლიერი საქართველოს შექმნისაკენ. დარწმუნებულნი ამ განცხადების გულწრფელობაში ვდგებით პატიოსან თანამშრომლობის ნიადაგზე საბჭოთა ხელისუფლებასთან, იმ რწმენით, რომ დღევანდელ პირობებში შესაძლებელია ერისათვის მაქსიმუმი სარგებლობის მიღწევა მხოლოდ ამ სისტემის ფარგლებში. კულტურული ძალების ზრდა, ეკონომიური რესურსების გამოყენება-გაძლიერება მისცემს ქართველ ერს ყველა იმ ატრიბუტებს, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ეროვნულ ძლიერ სახელმწიფოსათვის.

მეფის რეჟიმმა, იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომმა სრულიად მოშალა უმისოდაც არა ძლიერი საქართველო, ეხლა დგას მისი აღორძინების საკითხი. ეს მოსახერხებელი და მისაღწევია დღეს საბჭოთა უფლებასთან თანამშრომლობით. ეს გარემოება უკარნახებს ყოველ ქართველს ხელი შეუწყოს საქართველოს მატერიალურ და სულიერ კულტურის აღორძინებას.

ამიტომ ვდგებით რა საბჭოთა ხელისუფლებასთან კულტურულ და ეკონომიურ თანამშრომლობის ნიადაგზე ვაცხადებთ, რომ ამიერიდან ვიქნებით მასთან ერთად ყოველ დროს და ყოველ პირობებში და ყოველ ძალღონეს ვიხმართ საბჭოთა ხელისუფლების გამაგრებისათვის—ჩვენი ერის კულტურული და ეკონომიური აღორძინებისათვის

1) იპ. ნარსია
2) მოსე იმნაიშვილი
3) შ. ჩოჩია
4) ირაკლი ურუშაძე
5) ზურაბ ელიავა
6) ნიკო ქადაგიძე (უპარტიო)
7) ალექსანდრე ნიკურაძე
8) მიხეილ მგელაძე
9) სიმონ (სერგო) ნინუა

ნ. დემ. ახალგაზრდობის

სალიკვიდაციო კონფერენცია თბილისში

პირველი სხდომა

30 მაისს, აღმასკომის დარბაზში გაიხსნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდობის ორგანიზაციის წარმომადგენელთა კონფერენცია.

კრება დაიწყო დღის 1 საათზე. არჩეულ იქნა პრეზიდიუმი სამი კაცისაგან; წულუკიძე, გონიაშვილი და ერისთავი.

თავმჯდომარე წულუკიძემ მოკლე სიტყვაში გააცნო დელეგატებს კონფერენციის დანიშნულება და მიზანი.

პირველი მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა საქარ. კომკავშირის ცეკას სახელით ამხ. კაკელიამ.

მან აღნიშნა, რომ საქართველოს პოლიტიკურ პარტიებმა საბჭოთა ხელისუფლებიდან განზე გადგომით ჩვენს ქვეყანას კი არ მოუმატეს რამე, არამედ უფრო შეაფერხეს მისი კულტურულ-ეკონომიური წარმატება. აგვისტოს გამოსვლები ხომ ისეთი შეუწყნარებელი ღალატი იყო მთელი ქართველი ხალხის წინაშე, რომ მას არას დროს არ დაივიწყებს მომავალი ახალი თაობა.

თუმცა ყველაზე გვიან, მაგრამ ბოლოს მაინც ეროვნულ-დემოკრატმა ახალგაზრდებმაც გაიგეს, რომ საქართველოს ყოველმხრივი აღორძინება და წარმატება შეუძლებელია საბჭოთა ხელისუფლების გარეშე. მხოლოდ ეს გულწრფელი განცხადება არ უნდა დარჩეს ცარიელ სიტყვათ, არამედ უნდა გამოიხატოს ყველა ფრონტზე აქტიურ თანამშრომლობაში მუშურ-გლეხურ მთავრობასთან.

«მუშათა კომისიის» სახელით ილაპარაკა ძველმა მუშამ—კუპრაშვილმა.

ეროვნულ-დემოკრატების ასეთი ნაბიჯი მასაც დროულად მიაჩნია და უსურვებს ნაყოფიერ მუშაობას მომავლისათვის.

ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტების სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კვატაშიძემ.

შემდეგ დეკლარატიული ხასიათის სიტყვები წარმოსთქვეს კონფერენციის დელეგატებმა მოქ. ბეჟუაშვილმა და მესხმა.

ისინი ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ საბჭოთა წყობილება საკმაოდ განმტკიცდა. ამასთანავე მან გამოიჩინა უდიდესი უნარი ჩვენი ქვეყნის აყვავება-წარმატებისათვის. ამიტომ საქართველოს ყველა მომქმედი ძალები უნდა შემოირტყნენ არსებულ ხელისუფლების გარშემო და იმოქმედონ გულწრფელათ ჩვენი საერთო კეთილდღეობის ასამაღლებლათ.

საქ. კომპარტიის ცეკას სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. გ. სტურუა.

მენშევიკური პარტიის დარღვევის ისტორიიდან

მოწოდება სოციალ-დემოკრატიულ მუშებისადმი*

1917 წლიდან ვიდრე 1921 წ., და, განსაკუთრებით 1923 წ., მე არა ერთხელ მიმიმართავს სიტყვიერათ და წერილობით პარტიულ ცენტრისათვის, რომელსაც ხელმძღვანელობდენ ბატონნი ნოე ჟორდანია და ისიდორე რამიშვილი და აგრეთვე კერძოთ მუშა ამხანაგებისათვის მოთხოვნილებით—დაეყენებიათ პარტიულ ორგანიზაციაში საკითხი ჩვენი ლიდერების დამღუპველ შეცდომების შესახებ და ქართველ მშრომელი ხალხის პოლიტიკის შეცვლის საჭიროებაზე. მე ამ მოთხოვნილებაზე ტერორის და ცილისწამების მეტი პასუხი ვერ მივიღე. მაგალითად 1921 წელში ს. ხომერიკიმ, და 1923 წელში ვ. წულაძემ ცენტრალური კომიტეტის და შემდეგ მთავრობის სახელით მოითხოვეს ჩემი წერილების დაწვა (სადაც მე სახალხოთ ვაღიარებდი ჟორდანიას დამღუპველ პოლიტიკას საქართველოს მუშების წინაშე). ამასთანავე ხომერიკი წინადადებას მაძლევდა მე საქართველოში წავსულიყავი სტამბოლიდან აჯანყების მოსაწყობათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაგაჩუმებთო,-შემუქრებოდენ; ჩაჩუმებით ვერ ჩამაჩუმეს, მაგრამ საზღვარ გარეთულ პარტიულმა ბიურომ საზღვარ გარეთულ ორგანიზაციიდან კი გამომრიცხა იმავე ორგანიზაციის დაუკითხავად. ბიუროს ასეთმა თავხედობამ, რასაკვირველია, ცხად ჰყო ჩემთვის რომ პარტიაში ჩემ მიერ აღძრული საკითხები პასუხს ვერ მიიღებდა და ამიტომ მივმართე სხვა საშუალებას—მე შევიტანე ვრცელი განცხადება პარიზის ქართულ კოლონიაში 1) და ეხლა ამ წერილით მივმართავ ჩემს ძველ ამხანაგებს.

ათეული წლების განმავლობაში ჩვენი პარტია რაზმავდა მუშათა კლასს კაპიტალიზმთან საბრძოლველად. 1917 წლის რევოლიუციამ ძველი ჟანდარმული წესწყობილება დაამხო, მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა ჩვენ გვჭირდებოდა მეტი სიმტკიცე და მეტი გამჭრიახობა, ამ დროს ჩვენმა პარტიამ ლიდერების ხელმძღვანელობით დაიწყო ყოყმანი, რყევა, გადავვარდენ ძალაუფლებით თავბრუდასხმულნი ავანტიურაში და რევოლიუციის ტალღამ ჩვენ გადაგვისროლა შორს. გამარჯვება კი დარჩათ მათ, ვინც გაყვა ძველს რევოლიუციონურ დროშას, პროლეტარიატის პარტიას ესე იგი ბოლშევიკებს. ეს მოხდა ფართო მაშტაბით რუსეთში და ჩვენი ბელადები ჟორდანია, რამიშვილი, ჩხეიძე, წერეთელი და ჩხენკელი შეეხიზნენ ამიერ-კავკასიის ქედს, რომ აქ განეცოცხლებიათ რუსეთში დამარცხებული „დემოკრატიული„ პოლიტიკა.

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა და შემდეგ დამოუკიდებლობა საქართველოსი—ეს ნიმუშებია ამ ბელადების ოპორტუნიზმისა. რომელს სწამდა ან ამიერ-კავკასიის ან საქართველოს დამოუკიდებლობა? არ სწამდა არც ერთს, მაგრამ მათ უნდოდათ თავი დაეცვათ რევოლიუციისაგან და სადაც კი შეიძლებოდა ქმნიდენ საბჭოთა საწინააღმდეგო ძალებს. ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის კონტრრევოლიუციონერები თავისუფლათ აწყობდენ ანტი საბჭოთა ორგანიზაციებს, ხშირათ ეს ორგანიზაციები თვით საქართველოს დამოუკიდებლობასაც ებრძოდენ. ამას ჩვენი მინისტრი ეგ. გეგეჭკორი „ტრადიციონული ქართულ სტუმართ მოყვარეობით" ხსნიდა. ჩვენი „სოციალისტური" მთავრობა კონფერენციებს მართავდა ალექსეევთან, დენიკინელებთან და სხვა შავრაზმელ გენერლებთან და [illegible], ხოლო ბოლშევიკებთან კი, რომლებიც სწორედ ამ, შავ რეაქციის წინააღმდეგნი იყვნენ,—ლაპარაკიც არ სურდათ. მოლაპარაკება დაიწყეს ბოლოს, როცა ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის აღარავინ იდგა, მაგრამ ეს იყო ხალხისა და თავის მოტყუება. როცა მუშების ერთმა ჯგუფმა მოითხოვეს ჟორდანია, წერეთლის და ს. ჯიბლაძის მოსკოვში წასვლა, რათა სახელმწიფოებრივ მოლაპარაკებასთან ერთად ეწარმოებია ბოლშევიკებთან ლაპარაკი პარტიული დაახლოების შესახებაც—ჩვენ პასუხად სიცილი დაგვაყარეს და გვიპასუხეს, რომ თუ დაგვჭირდა გ. ურატაძის ხელმძღვანელობას თავზე დავახვევთ ბოლშევიკებსო.

ბოლშევიკებმა ეს უფრო ადრე მოახერხეს და როდესაც გონს მოვედით—უკვე ბოსფორზე ვიდექით.

ამ ნაირად გადავყიდეთ არა მარტო რუსეთს, ამიერ-კავკასიის ხალხებსაც და ჩვენ ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათაც კი! **) ჩვენს ლიდერებს დაავიწყდათ, რომ, შენთვის თუ ითხოვ თავისუფლებას, მოვალე ხარ სხვებსაც დაუთმო იგი.

ჩვენ, განთავისუფლებულნი რუსეთის დიად რევოლიუციით, ვერ მოვასწარით გამოჩენა და უკვე შევაფურხეთ ერთა განმათავისუფლებელ რევოლიუციას და ყოველ ღონეს ვხმარობდით თავი დაგვეღწია მისგან.

მოვშორდით რუსეთის დიდ რევოლიუციას, მაგრამ სამაგიერო პირობები ვერც შიგნით შევქმენით. გავფლანგეთ სახალხო ქონება. სამი წლის თავზე საქართველო მივიყვანეთ გაკოტრებაზე და თვით ჟორდანია ადასტურებდა, რომ კონცესიების და საბანკო სესხის მეტი ეკონომიური კრიზიდან არაფერი გადაგვარჩენსო.

დავანგრიეთ და გავფლანგეთ სამხედრო ქონებაც და მის მაგიერ, რომ ჯარი შეგვექმნა, შევქმენით კანცელარიები და სიები შევადგინეთ 80 ათასი ჯარის კაცისათვის. ჯარი იყო ქაღალდზე, ჯარი არ არსებობდა სინამდვილეში, მაგრამ ფული კი 80 ათასი კაცის გადიოდა.

ბოლშევიკებმა იმ თავითვე ჯარის საქმე დააყენეს რიგზე და შექმნეს ძლიერი წითელი ლაშქარი, რომელიც დღეს შეგნებულად იცავს საბჭოთა ფედერაციას მტრებისაგან. ჩვენ ეს ვერ შევქმენით და ამას, გარდა სპეკულიანტური სარჩულისა ჰქონდა სხვა საყურადღებო მიზეზებიც; საქართველოს მუშები და გლეხობა არ იყო დაინტერესებული ეროვნული ჯარის შექმნით, რადგან საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ გააბათილა ყველა იმედები და ვერ დაუმკვიდრა ხალხს დიდი რევოლიუციის მონაპოვარნი. ქართველმა ხალხმა ვერაფერი ვერ მიიღო რევოლიუციიდან ჟორდანიას მთავრობის დროს, რუსეთის მუშამ და გლეხობამ კი მიიღო შესაძლებლობის მაქსიმუმი.

ასე დავკარგეთ ჩვენი მეზობელი რუსეთის პროლეტარიატი, რომელთანაც ერთად ვიბრძოდით თვითმპყრობელობის წინააღმდეგ 30 წლის განმავლობაში სოციალიზმის განსახორციელებლად. სამაგიეროდ შევუდექით ევროპიელ «მეგობართა» ძიებას. ამას ისტორია არ გვაპატიებს, მეგობრობის პოვნა ძნელია, განსაკუთრებით ბურჟუაზიულ ევროპაში და ამაში ეხლა ყველა დავრწმუნდით საკუთარი გამოცდილებით.

მიუხედავად ასეთი უგუნური ხაზისა, ზოგიერთი ამხანაგები მაინც არ ყრიდენ იარაღს და მაინც არ სტოვებდნენ აზრს ბოლშევიკებთან შეთანხმების. ბათუმშიც კი, როცა ხდებოდა მთავრობის ევაკუაცია, მუშებმა მოითხოვეს მთავრობის ბათუმში დარჩენა და ბოლშევიკებთან და ოსმალოსთან საერთო ენის გამონახვა. ჩვენ არ გვინდოდა საქართველოდან სამარცხვინოდ გამოპარვა, მაგრამ ჩვენი ბელადები სწუხდნენ მხოლოდ საკუთარ თავს, ამი-

---

* იბეჭდება როგორც დოკუმენტი. რედ.

1) იხ. „ახალი საქართველო № 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან ის აზრი გაატარა, რომ არ კმარა მარტო გულწრფელი სიტყვიერი შერიგება და შეთვისება საბჭოთა ხელისუფლების. საჭიროა, ამას მოჰყვეს შესაფერი პრაქტიკული შედეგებიც. და ასეც უნდა მოიქცეს ყველა ის მოქალაქე, რომელსაც უყვარს თავისი ქვეყანა და ინტერესება მისი ყოველმხრივი წარმატება. საქ. კომპარტია ყოველთვის ხელის შემწყობი იქნება იმისი, რომ ჩვენი ქვეყნის მომქმედი ძალები, რაც შეიძლება საუკეთესოდ იქნეს გამოყენებული ჩვენი მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

მეორე სხდომა

ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ახალგაზრდობის სალიკვიდაციო ბიუროს მუშაობა

მეორე სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა ორგანიზაციის სალიკვიდაციო ბიუროს მუშაობის შესახებ.

ბიურო დაარსდა გასული წლის დეკემბერში გამასწორებელ სახლებში მოთავსებულ ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა განთავისუფლების შემდეგ. ამ ხანებში მოხდა სრული გარდატეხა ერ.-დემ. ახალგაზრდობაში საბჭოთა წყობილების სასარგებლოდ. ორგანიზაციის იმ წევრებმა, რომელნიც აგვისტოს ავანტიურაში მონაწილეობდენ, სრულიად გულწრფელად აღიარეს თავიანთი შეცდომები მათ მიერ გამოქვეყნებულ დეკლარაციაში, სადაც მათ გამოსთქვეს სურვილი ხელისუფლებასთან აქტიური თანამშრომლობისა.

შემდეგ მოწვეული იქნა თბილისის საქალაქო კრება, რომელმაც ბიუროს ხელახალი არჩევის შემდეგ, დაავალა ამ უკანასკნელს ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატთა სრ, საქართველოს კონფერენციის მოწვევა.

მესამე სხდომა

პოლიტიკური მომენტი და ჩვენი ამოცანები

(მომხსენ. ნ. დგებუაძე)

უკანასკნელ სხდომაზე მოხსენება გააკეთა ნ. დგებუაძემ შემდეგ თემაზე: პოლიტიკური მომენტი და ჩვენი ამოცანები. მომხსენებელი ვრცლად შეეხო საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობას.

შეჩერდა რა ქართველი ახალგაზრდობის დღევანდელ ამოცანაზე, მომხსენებელმა განაცხადა:

— ამ რამოდენიმე ხნის წინად პარიზში შესდგა «საქართველოს კოალიციონური მთავრობა» ჩვენი ვალია საქართველოში შევქნათ საბჭოთა ხელისუფლების მომხრეთა კოალიცია და იერიში მივიტანოთ უცხოეთში მოწყობილ კოალიციის წინააღმდეგ.

— დამოუკიდებლობა, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი ლოზუნგი იყო, სავსებით დაცულია საბჭოთა სისტემაში. ყოველი ქართველი უნდა ჩაებას იმ მუშაობაში, რომელსაც აწარმოებს ამ ჟამად ხელისუფლება საქართველოს ეკონომიურად და კულტურულად აღორძინებისათვის.

კამათი

ამხ. დგებუაძის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომლის დროსაც გამოირკვა კონფერენციაზე წარმოდგენილ ახალგაზრდობის სრული განწყობილება.—საბჭოთა ხელისუფლების 4 წლის არსებობამ საქართველოში,—აცხადებდნენ ორატორები, დაგვარწმუნა, რომ თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებაში საქართველოს საწარმოო ძალთა განვითარების და განმტკიცებისათვის საუკეთესო საშვალებას წარმოადგენს მხოლოდ საბჭოთა სისტემა. ამ აზრს იზიარებს მთელი ეროვნულ-დემოკრატიული ახალგაზრდობა, რასაც მოწმობს დღევანდელი კონფერენცია.

ეროვნული საკითხის შესახებ ორატორები შემდეგ აზრს გამოსთქვამდენ, კომპარტიის მე-12 ყრილობის დადგენილებანი ეროვნულ საკითხში იდეალია ყოველი საღად მოაზროვნე ქართველისათვის. საბჭოთა ხელისუფლება თანდათანობით და შეძლების დაგვარად ატარებს მათ, მაგრამ აქა-იქ მაინც არის ნაკლი და ჩვენი ვალია ყოველი ღონისძიებით ხელი შეუწყოთ მე-12 ყრილობის დადგენილებათა სავსებით გატარებას ცხოვრებაში.

ზოგიერთი ორატორის აზრით, გადაუჭრელია აგრეთვე საკითხი ქართველი ინტელიგენციის შესახებ, რომლის ნაწილიც უმუშევრობას განიცდის. ამ ნაკლულოვანებათა გამოსწორების შემდეგ,—გამოსთქვამდენ ორატორები,—კიდევ უფრო წინ წავა გასაბჭოების დროიდან დაწყებულ საქართველოს კულტურული და ეკონომიური აღორძინება.

კამათში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ამხ. გ. სტურუამ, რომელმაც ციფრებით დაასურათა საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები საქართველოში.

ამხ. დგებუაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია.

რეზოლიუცია

გაერთიანებულ დემოკრატიულ პარტიის ახალგაზრდათა სრ. საქართველოს კონფერენციამ, მოისმინა რა ამხ. ნ. დგებუაძის მოხსენება და გაითვალისწინა რა, რომ უკანასკნელ ხნის საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკური მდგომარეობა კიდევ მეტად ადასტურებს ჩვენი ახალგაზრდობის მიერ გადადგმულ პოლიტიკური ნაბიჯის სისწორეს, სავსებით იზიარებს მის მიერ გამოქვეყნებულ რეზოლიუციას, თბილისის ორგანიზაციათა წევრთა საერთო კრების რეზოლიუციას და ერთხელ კიდევ აღნიშნავს, რომ ქართველი ერისათვის ერთად-ერთი მისაღები გზაა—საბჭოთა მთავრობასთან აქტიური თანამშრომლობა და ხელის შეწყობა იმ მუშაობისათვის, რომელიც ამ მთავრობის მეთაურობით სწარმოებს·

პრესის გამოძახილი

გაზეთ „კომუნისტში № 126 ვ. სტურუა [illegible]ბს ამ კონფერენციის მნიშვნელობას.

”ავანტიურის შემდეგ, როგორც ცნობილია, დადგა პოლიტიკურ გამოფხიზლების ხანა და ყველას ახსოვს, როგორი სასიკვდილო ლახვარი ჩასცა მან კონტრრევოლიუციონერ პარტიებს, კერძოდ მენშევიკებს, ე. ი. იმ პარტიას, რომელიც ათეული წლობით ზომავდა თავის ბატონობას საქართველოში. ყველას ახსოვს, რომ მენშევიკების ავანტიურის შედეგათ მათ რიგში კიდევ დარჩენილმა მუშებმა ზურგი აქციეს თავიანთ ლიდერებს, ე. ი. რომლებიც სხედან პარიზში და იქიდან ხელმძღვანელობენ „საქართველოს დემოკრატიას“ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მენშევიკების პარტია და ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია დაიშალა და მათი საუკეთესო ნაწილი გადაჭრით დადგა საბჭოთა პლატფორმაზე. ისეთი გაუსწორებელი, შეურიგებელი ნაციონალისტიც კი, როგორც ვეშაპელი, იმანაც კი სცნო რომ ქართველი ერის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის და განვითარების პირობებში.

ყოველივე ამის შემდეგ, რა გასაკვირია, რომ ქართველ ახალგაზრდობის იმ ნაწილმაც, რომელიც მისდევდა ეროვნულ დემოკრატებს, პირი აქცია წარსულს და დადგა საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე... უსურვოთ მათ ახალგაზრდული ენერგიით მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების განვითარების და გამტკიცებისათვის„



ჭიათურა — Ville de Manganèse Géorgien, dont la concession vient d'être accordée à la Comp^{ie} Américaine ,,Harriman''

შავი ქვის კონცესია

,,ჩემოს“ თავჯდ. ამხ. ალ. ჯაყელის განცხადება

საზოგადოება «ჩემო»-ს თავმჯდომარის ამხანაგმა და შავი ქვის მრეწველთა სააკციონერო საზოგადოების თავმჯდომარემ ალ. ჯაყელმა, რომელიც როგორც ექსპერტი უახლოეს მონაწილეობას იღებდა ჰარიმანთან დადებულ ხელშეკრულების შემუშავებაში, ჭიათურის შავი ქვის კონცესიის შესახებ განაცხადა შემდეგი;

— ჭიათურის შავ ქვას თუ რაიმეს მოცემა შეეძლო საქართველოსათვის, არას ოდეს იმაზე მეტს ვერ მოგვცემდა, რამდენიც ჩვენ უკვე მივიღეთ და მომავალშიაც მივიღებთ კონცესიონერისაგან.

ჭიათურის შავი ქვას მრავალი კონკურენტი ჰყავს, რომელთა შორის მთავარი ადგილი უჭირავს ბრაზილიას

რომ ისინი გამოიქცენ და თან გაიტაცეს ხალხის დიდძალი ქონება და ძვირფასეულობა, რომელიც გაიფლანგა და იფლანგება უკანტროლოდ სხვა და სხვა საავანტიურო საქმეებზე (ბოლშევიკებთან სალაპარაკოდ კი ჩასტოვეს გრ. ლორთქიფანიძე, ქუთაისში).

»საქმეები« დაიწყო ევროპაში ჩამოსვლის თანავე, როცა შესდგა ინტერპარტიული ცენტრი—აქედან დაიწყო აჯანყებისთვის პროპაგანდა ამიერ-კავკასიის მასშტაბით და ამ ნიადაგზე მოხდა ამ.-კავკასიის სხვა რესპუბლიკებთან «შეთანხმება» პარიზში.

აქ კი ბედმა დასცინა «ჩვენს» ბელადებს და ამიერ-კავკასიის ყოფილ მთავრობებს. როცა თავიანთ მიწაზე იდგნენ—ერთმანეთსა სჭამდენ ხოცავდენ, როცა ყველანი გადმორბნენ უცხოეთში—აქ სდებენ ძმობა-ერთგულების თამასუქებს: ასე შეთანხმდენ ისინი «საერთო მტრის» ბოლშევიზმის საწინააღმდეგო ბრძოლაში. ამ ნაირად დაკნინდა ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია.

მაგრამ კიდევ მეტი—ჩვენი მთავრობა უკავშირდება არა მარტო ამიერ-კავკასიის რეაქციას—იგი ხელს უწოდებს ბურჯუაზიულ წრეებს და რუს მონარქისტებსაც. და ყველა ეს ბურჟუაზიულ რეაქციონური ზროვა—ტაშ უკრავს ჩვენს «სოციალისტურ» მთავრობას და ჩვენი პარტიის ბელადებს ასეთი ჭკვიანი საქციელისათვის.

ასეთია დღეს ჩვენი მეგობრები და სწორედ ეს ხალხია, რომ ასე სასტიკათ ებრძვიან დღეს ბოლშევიკებს.

რანი ვიყავით გუშინ და სად მივედით დღეს?! გუშინ ვიბრძოდით რევოლიუციის სახელოვან რიგებში რეაქციის წინააღმდეგ და შევუკავშირდით ყოველ ბნელ ძალას რევოლიუციის და მუშათა კლასის წინააღმდეგ.

ამ სამარცხვინო საზღვრამდე მიიყვანეს ჟორდანია—რამიშვილმა ჩვენი პარტია·

ცხადია—საზღვარი აქვს ყველაფერს და ქართველი მუშების მოთმინებასაც დაედო საზღვარი 12 ათასი მუშა 23 წ. გამოვიდა პარტიიდან. მათ გაყვა და მიყვება დღემდე პარტიის ძველი გვარდია. აქ ჩეკაზე და რეპრესიებზე ლაპარაკი სირცხვილია. მაგრამ ჩვენი გზა აბნეულები ბელადები აქაც ვერ ბედავენ პირდაპირ შეხედონ სინამდვილეს თვალში.

პარტია დაირღვა, ცკას თავმჯდომარე ს. დევდარიანი და ცნობილი ძველი პარტიის მუშაკები პარტიას სტოვებენ და ჩვენი ლიდერები აქ ასეთი გრანდიოზული მოვლენის ახსნას ვერ აზერხებენ.

ეს იმას ნიშნავს რომ ბბ. ჟორდანია—რამიშვილი გამოიფიტნენ და დროა ჩაბარდნენ ისტორიულ არქივს, როგორც ბელადები და როგორც მარქსიზმის თეორეტიკოსები, ამით მუშათა კლასი არაფერს არ წააგებს რადგანაც ეს ასე მოხდა.

აღსანიშნავია, რომ დევდარიანის—გელეიშვილის და 12 ათასი მუშების პარტიიდან გასვლა ჩვენმა ბიურომ დაფარა და არ გამოიტანა სამსჯავროზე ***) ხოლო როცა მოხდა ეს ნ. რამიშვილმა გარიცხვის რეზოლიუცია წარმოადგინა ს. დევდარიანის წინააღმდეგ, მაგრამ მუშებმა უარყვეს იგი.

ჩვენი ბელადების რევანში აუცილებელი შეიქნა და ჩვენ დავინახეთ, თუ როგორი რევანში გაუკეთეს მათ ქართველ ხალხს. ეს იყო აგვისტოს ავანტიურული აჯანყება.

ამ ჟამად სრულიად დამტკიცებით შეიძლება ითქვას, რომ ეს აჯანყება პარიზის ხელმძღვანელობით იყო მოწყობილი. ამ მხრივ ინტერეს მოკლებული არ იქნება ჩემი უკანასკნელი ლაპარაკი ვალიკო ჯუღელთან პარიზში—საქართველოში საბედისწერო გამგზავრების წინ.

მე ძალიან მეძნელება წერა ძვირფას ვალიკოს შესახებ. მე მგონია, ბოლშევიკებმა ბევრი წააგეს ამ აღტაცებულ ადამიანის დაღუპვით.

ვერ მივნდობივარ აზრს, რომ ვალიკო ცოცხალი არ არის. მაგრამ უფრო მაწუხებს ეს, როცა ვფიქრობ რომ, თუ რისთვის დაიღუპა იგი. დაიღუპა საქმისათვის, რომელიც თავად არ სწამდა. მე მაინც მრწამს, რომ ვალიკო, თუმცა ბევრში ცდებოდა, მაგრამ მაინც გულწრფელი იყო.

ვალიკოს და მრავალ სხვებს მოტყუებულთა უდროოდ სიკვდილი დააწვეს საფლავის მძიმე ლოდათ მათ დამღუპველ ჟორდანია—რამიშვილის პოლიტიკურ სინდისს.

მე ვალიკომ დამიბარა წასვლის წინ ერთ კაფეში. შევხდით. მძიმე სიჩუმის შემდეგ უცბათ მითხრა: «მივდივარ საქართველოში ქართველი ხალხის დასაღუპავად აჯანყების მოსაწყობად». მე გაკვირვებისაგან ხმა ვერ ამოვიღე. მან მძიმედ ამოიხრა, ჩაღუნა თავი და დიდხანს სდუმდა... ვკითხე შემდეგ—ხომ არ გაგიჟდი მეთქი. მან დამიდასტურა ნათქვამი და მითხრა, «მივდივარ მთავრობისა და საზღვარ გარეთულ ცენ. კ-ტის ბიუროს დადგენილებით. ვიცი აჯანყებას წავაგებთ, გაიმეორა მან.

ბოლშევიკები ამით ისარგებლებენ და საშინელება დატრიალდება„... მთოხვა წავყოლოდი.

ჩემს შეკითხვაზე--თუ რად მიდის, როცა ეს მას არ სწამს-მითხრა: სხვა ”გამოსავალი არაა, აბა რავქნათ ევროპა რომელზედაც ჩვენი იმედი იყო, თანდადან იხრება საბჭოთა ცნობისაკენ, თუ ეხლა არა. შემდეგ ის ჩვენს აჯანყებას მხარს არ დაუჭერსო„...

ასე გავშორდით—ორივე ერთმანეთს დაღონებული; ვალიკო იმით, რომ მისმა ძველმა ამხანაგებმა და მეგობრებმა გაჭირვებაში უარი უთხარით და ვერ დავიხსენით იმ ავანტიურისან რომელიც მას დაავალა საზღვარ გარეთელმა ბიურომ ბოროტი საქმის ჩასადენათ:..

მე წასვლაზე კატეგორიული უარი უთხარი მასაც ურჩიე დარჩენა პარიზში, ნუ მიდის ბოროტი საქმის ჩასადენდ...

ეს შეხვედრა არასოდეს არ დამავიწყდება ჩემს სიცოცხლეში...

დასასრულ მინდა რამოდენიმე კითხვა მივსცე ჩვენს პარიზში მყოფს მეთაურებს,

1. რა ნითესაობა აქვს ქართულ ლეგაციას პარიზში და ჟორდანიას მთავრობას რუს მონარხისტულ ოფიცერთა ორგანიზაციასთან? ამ ორგანიზაციამ ოფიციალ. მოულოდა აჯანყების დაწყება ლეგაციას და დაპირდა დახმარება ბოლშევიკებთან ბრძოლაში მონაწილეობის მიღებით.

2. რა ურთიერთობის ძალით მოხდა, რომ მონარხისტის ბ. სუვორინის გაზეთი ლეგაციის ოფიციოზად გახდა აჯანყების დღეებში, და რამ უკარნახა ნ. რამიშვილს ამ გაზეთში დაეწერა თავისი ინტერვიუ აჯანყების მსვლელობის შესახებ, ან ვინ მისცა ამის უფლება?

3· რისთვის მოვიდა აჯანყების დროს ლეგაციაში ნიკ. ნიკ-ჩის რწმუნებული ვარანცოვ-დაშკოვი კავკასიის ყ. «ნამესტნიკის» შვილი და რას ნიშნავდა ის საიდუმლო თათბირი, რომელიც სწარმოებდა ჟორდანიას მთავრობასთან იქ? ალბად, ესეც „ტრადიციულ სტუმრათ მოყვარეობით“ აიხსნება!

4. ხომ არ ამზადებს ახალ აგვისტოს ავანტიურის დღეებს პარიზის პარტიული კომიტეტი?

5. რატომ არ უარყოფენ ჟორდანია—რამიშვილი გაზე-

) ის საქართ. სოც. დემ. პარ. დოკუმენტი ვალიკო ჯუღელის წიგნი «тяжелый крест**»

***) არ არის ეს გასაკვირველი საზღვარ გარეთელ ბიუროსაგან... საინტერესოა თუ რას დასწერს ამ 12 ათას მუშების სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გასვლის გამო ახლად ჩამოსული საქართველოდან ჩემი კოლეგა სოლომონ ვადაჭკორია!—თანამშრომელი “ახალი გზისა„ ვუცდით პასუხს ასოთ-ამწყობი.

და ინდოეთის უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილი იქნა კიდევ აფრიკის შავი ქვა, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება ჭიათურის შავ ქვას.

რომ ჩვენ ჰარიმანი არ დაგვეთანხმებოდა ხელშეკრულებაზე, მაშინ ის უეჭველად აფრიკის შავი ქვას აიღებდა.

მთავარი, რამაც მეტად დააინტერესა ჰარიმანი, მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი შავი ქვა ახლოა ზღვასთან. რაც აადვილებს მის გატანას საზღვარგარედ: ამას გარდა ჭიათურის შავი ქვაში პეროქსიდი მეტია, ვიდრე ბრაზილიის, ინდოეთის და აფრიკის შავ ქვაში.

გარდა იმ ხელშეკრულებისა, რომელიც ჰარიმანმა დასდო მთავრობასთან, მას მეორე ხელშეკრულებაც აქვს აგრეთვე დადებული შავი ქვის მრეწველებთან. მოლაპარაკება ორივე ამ ხელშეკრულების დასადებათ სწარმოებდა ერთდაიმავე დროს და ორივე ეს ხელშეკრულება ხელმოწერილია ერთ დღეს.

თუ თქვენ ერთმანეთს შეადარებთ ამ ხელშეკრულებებს, დაინახავთ, რომ სრული თანხმობაა, კიდევ უფრო მეტი; შავი ქვის მრეწველები, იმ მიზნით, რომ გააადვილებიათ ჰარიმანისათვის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების შესრულება, მრავალ დათმობაზე წავიდენ.

მაგალითად, ჰარიმანმა რომ შესძლოს მუშაობის დაწყება ქარხნების აგებამდე, შავი ქვის მრეწველები აძლევენ 600.000 ტონა შავი ქვას. ამასთანავე მრეწველები 10 წლის ვადით ჰარიმანს უტოვებენ 2 დოლარს თვითეული ტონი შავი ქვის ღირებულებიდან. ეს ორი დოლარი თვითეული ტონიდან არის გარანტია იმისა, რომ მთავრობა არ დაარღვევს დადებულ ხელშეკრულებას, ამრიგად პასუხისმგებლობას ხელშეკრულების შესრულებისათვის მთავრობასთან ერთად კისრულობენ მრეწველებიც.

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება დარღვეული არ იქნა მთავრობის მიერ, მაშინ ჰარიმანი ამ თანხას დააბრუნებს ათი წლის შემდეგ: თუ ხელშეკრულება დარღვეული იქნა, მაშინ ეს თანხა იკარგება.

ამას გარდა ხელშეკრულების ძალით მრეწველები ჰარიმანს აძლევენ მთელ იმ ქონებას ჭიათურაში, რომელიც ამ ჟამად მათ განკარგულებაშია, ამას გარდა ამავე ხელშეკრულების ძალით მრეწველები ვალდებული არიან, თუ ჰარიმანისათვის ეს საჭირო იქნება, ითანამშრომლონ მასთან.

ამ რიგად მრეწველების ხელშეკრულება უადვილებს ჰარიმანს იმ ვალდებულების შესრულებას, რომელსაც მას აკისრებს მთავრობასთან დადებული ხელშეკრულება.

შეკითხვაზე თუ, რა გავლენას მოახდენს კონცესია საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაზე, ალ. ჯაყელმა განაცხადა შემდეგი:

— უპირველეს ყოვლისა გაუმჯობესდება ტრანსპორტი; კონცესიონერი ვალდებულია გადააკეთოს ჭიათურის ვიწრო ლიანდაგიანი ხაზი: მან ამერიკიდან უნდა შემოიტანოს ახალი ვაგონები და ორთქლმავლები. ამას გარდა გაუმჯობესებულ იქნება ფოთის ნავთსადგური, მოწყობილი იქნება ელევატორი და სხვა.

თვით ჭიათურა კი ნამდვილი ქალაქის იერს მიიღებს; აშენებული იქნება ახალი სახლები, ყველა მაღალ მთებზე მოწყობილი იქნება ფუნიკულიორები და ჰავის მხრივ მდიდარი სოფლები კურორტებათ გადაიქცევა.

რაც შეეხება მუშებს, უნდა ითქვას, რომ პირველ რიგში მათვის მოწყობილი იქნება ბინები, აბანოები, ამას გარდა ყველა მუშები მიიღებენ ცხელ საჭმელს და მათთვის მოწყობილი იქნება სათამაშოები და სასპორტო მოედნები.

ჰარიმანს მუშები ამერიკიდან არ მოჰყავს. ხელშეკრულების ძალით ის ვალდებულია ჩამოიყვანოს მხოლოდ სპეციალისტების და პასუხისმგებელი მუშაკების მხოლოდ 25 პროცენტი, დანარჩენი მუშაკები აქაურები იქნებიან.

ქართული პრესა

პ. გელეიშვილი ნ. ჟორდანიას შესახებ

„ახალი საქართველოს“ № 2-ის მეთაურში ვწერდით, რომ ქართველი მენშევიკები რუსის სოციალ-დემოკრატების (აბრამოვიჩი და სხვა) გავლენით თან და თან დასტოვებენ სეპარატიულ ქართულ ფრონტისა და ეროვნულ კოალიციის პოლიტიკას. დიდი ხანი არ დაგვჭირდა ამის ცდა: როგორც ჟარიბის (პ. გელეიშვილის) ფელეტონებიდან ვიგებთ, ნოე ჟორდანია უკვე გადახრილა აბრამოვიჩ-წერეთლისაკენ იმავე იანვარში, როცა ჟორდანიამ თავისი „რა მოხდა“ დაწერა. მას გაუგზავნია საქართველოში შემდეგი პარტიული ცირკულიარი: „საქართველოში სეპარატიული მოძრაობა მოაწყო დამოუკიდებლობის კომიტეტმა თავისი საკუთარი ინიციატივით, ჩვენი შეხედულების წინააღმდეგ—ცხადია, ცეკამ უკუაგდო ჩვენი შეხედულება და შეითვისა ნაციონალ-დემოკრატების შეხედულება. ახლა მოდით და ილაპარაკეთ, რომ ეს ტაკტიკა გაკოტრდა. რომ ის გაკოტრდებოდა, ნუ თუ ადრე არ იცოდენ? გაკოტრდა არა ჩვენი, არამედ ნაციონალ-დემოკრატიული ტაკტიკა. საკმაოა, დავუბრუნდეთ ჩვენს ტაკტიკას, რომ ყოველისფერი მოწესრიგდეს“.

"რა მოხდა"-ში კი ჟორდანია სულ სხვანაირათ, არა პარტიულად, ეროვნულად, აფასებდა ამ აჯანყებას.

ეს არ არის ახალი, ეს ძველი ამბავია, რომ ჟორდანია ჩვეულია ერთის თქმას ოფიციალურად და მეორის არა ოფიციალურად, მაგრამ ისე მოხერხებულათ, რომ ოფიციალური და არა ოფიციალური უმალ ერთნაირათ საეჭვო ხდება...

პ. გელეიშვილს ასეთი სპარსული პოლიტიკის მეტი ატანა შეუძლებლათ მიაჩნია; იგი ამბობს: "აი სად არის ღრმაგი ბოროტება, ღრმაგი ღალატი და გამცემლობა! მის მიერ ჩასახულ ს. დ. პარტიის გაცოცხლებისა და პასუხისმგებლობისაგან თავის გადარჩენის მიზნით, ის ზურგს უბრუნებს იმ ამხანაგებს, რომლებიც მას უჯერებდენ, რომლებიც მის მოწერილობას ასრულებდენ. ნ. ჟორდანია დანას სცემს ზურგში, ის შეურაცყოფს ამხანაგების აზრდილებს, ის ვერაგულათ ღალატობს იმ სხვა პარტიების წარმომადგენლებსაც, რომლებმაც მას დაუჯერეს„.

როგორც სჩანს სხვა პარტიის წარმომადგენლებმაც შეუძლებლად დაინახეს ალბათ მეტის ატანა, კერძოდ პარიზელ ეროვნულ დემოკრატებმა, რომელთა მეფი დღემდის კოალიციაშია მენშევიკურ მთავრობასთან; მით უფრო რომ „რა მოხდა“ში ჟორდანიამ პირველმა გადაკრა მათ სახრე: „ქართველ ფაშისტებს ისევე უნდა ვებრძოლოთ, როგორც ბოლშევიკებსო.“

ქრონიკა

პარიზის ემიგრაციაში

— მუშათა ჯგუფის დეკლარაციის ხელისმომწერთ: თ. დემეტრაშვილს და გ. სულაკველიძეს თავს დაესხა მონპარნასის სადგურთან მენშევიკთა ერთი ჯგუფი და ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენა მათ.

გაზეთ ‟სამშობლოსათვის„

— ტიფლისის «კომუნისტის» ცნობით (№ 140) ს. კედია »სამშობლოსათვის« საჭირო ფულს რუსის მონარხისტებისგან იღებს.

‟თეთრი გიორგი„

— რედაქციამ მიიღო ქართველ ფაშისტთა ჯგუფის «თეთრი გიორგის» დეკლარაცია.

ჩემბერლენი საქართველოს შესახებ

— ინგლისის პარლამენტში პასუხად ერთ შეკითხვისა, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ინგლისი სცნობს საქართველოს, როგორც ამიერ-კავკასიისა და საბჭოთა კავშირის მონაწილე რესპუბლიკას.

ლონდონის კოლონიაში

— ბ. მახარაშვილისა და ვ. გაბელაშვილის თაოსნობით ლონდონში დაარსდა საქართველოს [illegible] ორგანიზაცია.

პრაღის კოლონიაში

-- ემიგრანტულ კავშირიდან გასვლა განაცხადეს ი. კაჩუხაშვილის და ხაბურზანიას გარდა გ. ფირაქიშვილმა, ილურიძემ, ევს. გვილავამ და დ. ღოღობერიძემ. საზოგადო კრებაზე მათ მხარი დაუჭირა შ. ორჯონიკიძემ. ამ ნიადაგზე უკანასკნელისა და მგალობლიშვილის შორის ინციდენტი მოხდა.

ჰარიმანის კონცესიის გარშემო

— საკონცესიო საწინდარი—მილიონი დოლარი გადასცა უკვე საბჭოთა კავშირის რწმუნებულს.

— ინჟ. რამკევიჩი ჩავიდა თბილისში და შეუდგა საორგანიზაციო მუშაობას. იგი ოფიც. წარუდგა ს. ორჯონიკიძეს, მ. ორახელაშვილს, ფ. მახარაძეს და შ. ელიავას.

— «ჩემოს» სალიკვიდაციო კრება შესდგა 20 ივლის.

— ს. ორჯონიკიძის განცხადებით წმინდა მოგება კონცესიიდან გადაეცემა საქართველოს.

— ჰარიმანმა საკონცესიო საზოგადოებას სახელად დაარქვა: Georgian Manganèse Co.

— ჭიათურაში ახლად დასაწყებ მუშაობისათვის საჭირო იქნება 3.000 მუშა ხელი.

— რამკევიჩთან ერთად თბილისში ჩამოვიდა როგორც ექსპერტი კოტე ჯაყელი, ყოფილი ეკონომიური რწმუნებული მენშევიკების მთავრობისა ლონდონში.

ფრანგ-ბელგიელები საქართველოში

— საქართველოში ჩამოვიდნენ ფრანგ-ბელგიელ მუშათა დელეგატები (უმეტესობა რეფორმისტები). ისინი ესაუბრენ პროფ., კავშირთა საბჭოს თავმჯდომარეს ჭელიძეს მარშანდელ აჯანყების შესახებ. მათი შეკითხვის პასუხად ჭელიძემ განაცხადა, რომ არც ერთ რუს წითელ არმიელს მონაწილეობა არ მიუღია აჯანყების ლიკვიდაციაში.

დელეგატების შეკითხვაზე, თუ რა პროფესიის არის ნოე ჟორდანია, ს. ფარნიევმა უპასუხა, რომ ჟორდანია [illegible].

ბელგიელმა დელეგატებმა განაცხადეს, რომ შინ დაბრუნებისას ისინი აუწყებენ ბელგიის მუშათა კლასს, თუ როგორ სტყუის ვანდერველდე საქართველოს შესახებ.

ინგლისელ ქალთა დელეგაცია

— საქართველოში ჩავიდნენ [illegible] ინგლისელ პროფ. კავშირთა დელეგატი ქალები: მერი კველ, ბროკ, ესკიუთ და [illegible]. მათი დახვედრა [illegible], როგორც ტრედიუნიონების პირველი დელეგაციისა (პერსელის და სხვ.)

ნანსენი საქართველოში

— თბილისში ჩავიდა სომხეთისკენ მიმავალი ცნობილი ნორვეგიელი ფილანტროპი ფრიტიოფ ნანსენი

ნანსენს დავალებული აქვს «ხალხთა ლიგას» მიერ ემიგრ. სომხების დასახლება კავკასიის სომხეთში.

ნანსენთან ერთად ჩავიდნენ: ინგლისელი, ფრანგი და იტალიელი დელეგატები.

ნანსენის დელეგაცია დაინტერესებულია საქართველოში ჭაობის ამოშრობის, არხების გაყვანის მოწყობის საქმით.

იტალიის წარმომადგენელი თბილისში

— თბილისში ჩავიდა იტალიის სამხედრო ატაშე კაპიტანი მირალია.

შ. ელიავა სპარსეთში

— საქ. მთავრობის თავმჯდომარემ შ. ელიავამ დაათვალიერა ენზელში არსებული საბჭოთა დროშის სკოლა.

გადასახლებულთა დაბრუნება

საქ. ცაკმა ნება დართო 83 პოლიტიკურ გადასახლებულს დაბრუნდეს სამშობლოში

მიწის საკითხი

საქართველოს ცაკის მეორე სესიაზე ივლისში, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ შეტანილია პროექტი, რომელშიაც გათვალისწინებულია მიწების იჯარით გაცემა 12 წლის ვადით, და აგრეთვე დაქირავებული შრომით სარგებლობის უფლების მინიჭება გლეხებისათვის

კ. სულაქველიძე

ბათუმში დაუტუსაღებიათ საიდუმლოდ ჩამოსული ცნობილი მენშევიკი სულაკველიძე.

ბიბლიოგრაფია

ჩვენი გაზეთის რედაქციამ მიიღო ლონდონში ინგლისურ ენაზე გამოცემული წიგნი დათიკო წერეთლისა: „Manganèse Ore.“ ავტორი საგანგებოთ მოგვითხრობს ქართულ მარგანეცზე. წიგნი შეიცავს 139 გვ. და ღირს 8½ შილინგი.

რედაქციისაგან

— ჩვენი გაზეთის № 7 დაბეჭდილი წერილი «ჩეხოსლოვაკიაში» ეკუთვნის არა მარტო ვ. კაჩუხაშვილს, არამედ რამოდენიმე ჩვენს თანამოაზრეს პრაგაში.

თებში გამოქვეყნებულ იმ წერილს, რომელშიაც ისინი ახალ ინსტრუქციას იძლევიან პარტიზანული მოქმედებისათვის საქართველოში და ურჩევენ თავიანთ მომხრეებს ხიდების, პორტების და გზების დანგრევა—აფეთქებას.

6. ვისი დავალებით მოაწყო ალ. ასათიანმა პოლონეთის რეაქციონერ ჯარში ჩვენი "დემოკრატიული„ ოფიცრობა, ან რა პატრიოტიულ მოვალეობას ასრულებენ ისინი ამ ჯარში.

7. რათ არ გამოაქვეყნეთ ვალიკო ჯუღელის წერილი მონაწერი თქვენდამი მეტეხის ციხიდან, რომელშიაც იგი მოუწოდებდა ჟორდანიას მთავრობას უკუეგდო აჯანყების გზა და ლიკვიდაცია მოეხდინა დასაწყებ იჯანყებისათვის

8. რათ ემუქრებით პოლიტიკური ტერორით საბჭოებისადმი ლოიალურად განწყობილ მუშებს, როცა ამავე დროს თვით ბ. ჟორდანია არ სდგას უარზე მოლაპარაკება აწარმოოს ბოლშევიკებთან, თუ რაიმე საგრძნობელ კომპენსაციას მიიღებს მოლაპარაკებით.

9. რატომ დაუმალეთ პარიზელ მუშებს გ. ლორთქიპანიძის, ა. დგებუაძის, ს. ჯიბლაძის და სხვ. ამხანაგების მიერ ციხიდან გამოგზავნილი წერილი, რომელშიაც ისინი მოითხოვდენ ჟორდანიას მთავრობის, საზღვარგარეთ ყველა პარტიულ და ემიგრაციულ ორგანიზაციების დაშლას და საბჭოების ცნობას!

10) რა პასუხი მოსთხოვა სოციალისტებმა ყ. მთავრობამ და ბ-ნმა ნ. ჟორდანიამ ბ. გვარჯალაძეს და სპირიდონ კედიას იმ სამარცხვინო საქციელისათვის, რომელიც მათ ჩაიდინეს სტამბოლში ყოფნის დროს 1922 წელში, როცა ერთ ერთ სახელმწიფოს ცნობილ დაწესებულებას მიჰყიდეს ცნობები წითელი ჯარის რაოდენობის და მისი ადგილობრივ დანიშნულების შესახებ.

ბ. კედიას და გვარჯალაძეს ასეთი საქციელი რითი იქნა გამართლებული ჩვენი ბელადების მიერ, როცა ეს ფაქტი თავის დროზე და დღესაც ასე აღელვებს ჩვენ მუშა ამხანაგებს.

დიახ ბევრია თქვენზე ბრალი და პასუხის მგებლობაც დიდი. მაგრამ ვერ შეაჩერებთ ჩვენი მუშათა მასების საბოლოო გამოფხიზლებას. საქართველოში ციხიდანაც ცხადი ხდება ბელადების სიბეცე და გაკოტრება. ეს მუშის შეგნება მტკიცდება პარიზში და საერთოდ ემიგრაციაში.

ვათავებ რა ამ წერილს მივმართავ ამხანაგ მუშებს რომელნიც ასე აზროვნებენ, მაგრამ ვერ გაუბედიათ გადაწყვეტითი ნაბიჯის გადადგმა და ქმნიან პარტიაში ოპოზიციას.

ძვირფასო ამხანაგებო, მე კარგად ვიცი გამოცდილებით თუ რა ძნელია წყვეტა—[illegible] განშორება მათგან, ვისთანაც ერთად იბრძოდი ათეული წლების განმავლობაში, ცარიზმის და მონობის დროს. ძნელია მაგრამ გეუბნებით: დაანებეთ თავი ამ ოპოზიციას, ნ. ჟორდანია და ნ. რამიშვილი ძალიან მოხერხებული არიან ასეთ საქმეში და იგივე ოპოზიციით ისე გაგხლართავენ, რომ ვერც კი შეამჩნევთ.

ამას გვიკარნახებს ჩვენ არა მარტო რეაქციონური საფრთხე, რომელიც ერთ ხეზე ჩამოგვახრჩობს მუშა მენშევიკსაც და ბოლშევიკსაც. არამედ საქართველოს კეთილდღეობა, მისი მომავალი და ის მხოლოდ მუშათა მოძრაობა, რომლის განუყრელ ნაწილს შეადგენს ქართველი პროლეტარიატი ახლო წარსულში.

ოპოზიცია კი არაა საჭირო რამიშვილ—ჟორდანიას წინააღმდეგ, არამედ საჭიროა მათი სრული უარყოფა.

მაშ, გამოიჩინეთ მუშური ვაჟკაცობა და გულახდილად მოახსენეთ ვისაც ჯერ არს ეს.

ეს არაა ახალი გზა. ეს იქნება დაბრუნება ძველ, ნაცად გზაზე, რომელსაც ავცდით ჩვენ 1917 წლის შემდეგ—ჩვენი მეთაურების მეოხებით.

მაშ გამოვასწოროთ ძველი ჩვენი შეცდომები, დავბრუნდეთ სამშობლოში და დავდგეთ ერთ დროშის ქვეშ—საქართველოს საბჭოთა მთავრობასთან და მის წინა მებრძოლ პარტიასთან ერთად.

ვანო ალიხანაშვილი

შეცთომათა გასწორება

ვ ალიხანაშვილის ფელეტონში გაუსწორებელი დარჩა ზოგიერთი კორექტურული შეცდომები, მაგალითად დასაწყისში ნოე რამიშვილის მაგიერ აწყობილია ისიდორე რამიშვილი. და სხვ.

ყოველ თვიური სამხატვრო-სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი

„მნათობი“

1925 წელს გამოვა «მნათობი»-ს თორმეტი ნომერი და ხელის მომწერთათვის გადაგზავნით ეღირება 16 მანეთი. ხელის მომწერლები ფულს იხდიან ოთხ განაკვეთად ოთხ-ოთხ მანეთობით. უცხოეთის ხელის მომწერთ 25 პროცენტით მეტი.

ცალკე ნომერი ეღირება ორი მანეთი.

1924 წელში გამოსული «მნათობის» 8 ნომერი ღირს ხელის მომწერისათვის 13 მანეთი.

«მნათობში» მონაწილეობას ღებულობს საქართველოს საუკეთესო პოეტები, მწერლები, მხატვრები და მეცნიერები.

«მნათობს» ჰყავს საკუთარი თანამშრომლები როგორც რუსეთში, ისე დასავლეთის დიდ ქალაქებში.

გამომცემლობა საქართველოს პოლ. განათლების მთავარ სამმართველოსი.

გამომცემლობის მისამართი: რუსთაველის პროსპექტი № 12.

თბილისი.

BANQUE COMMERCIALE
pour L'EUROPE DU NORD
26, Avenue de l'Opéra, 26, PARIS
Téléph. : Louvre 05-97, 03-21. Central 53-08, 65-55

კომერციული ბანკი
ჩრდილოეთ ევროპისათვის
26, ოპერის პროსპექტი პარიზი
კისრულობს ფულის გადაგზავნას საბჭოთა კავშირის ყოველ ქალაქსა და სოფელში
გადაგზავნა ხდება როგორც ჩერვონეცით, ისე ვალიუტით
ბანკი გარანტიას იძლევა გადაგზავნის სიჩქარესა და სწორ შესრულებაში
პასუხი გადაგზავნასთან დაკავშირებულ ყველა შეკითხვაზე—უფასოდ.

Paris. — Imprimerie M. Berstein, 3, Impasse Crozatier (12e) R. C. (Seine) 167.650

Le Gérant : L. BAR.